საქართველოს
რევმატოლოგიის ასოციაცია

საქართველო, თბილისი, 0102, დ. უზნაძის 51
ტელ: (+995 32) 295 40 41; (+995 32) 295 60 59
ფაქსი: (+995 32) 237 26 65

RHEUMATOLOGY
ASSOCIATION OF GEORGIA

51 Uznadze str, 0102, Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 295 40 41; (+995 32) 295 60 59
Fax: (+995 32) 237 26 65

N 1 25.02.2026

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოს

რეცენზია

ჰიპერურიკემია და პოდაგრა მნიშვნელოვან სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემას წარმოადგენს. შარდმჟავას დონის მატება ასოცირებულია როგორც სახსრების მწვავე და ქრონიკული პათოლოგიის განვითარებასთან, ასევე თირკმლის ქრონიკული დაავადების, არტერიული ჰიპერტენზიისა და გულ-სისხლძარღვთა გართულებების გაზრდილ რისკთან. პოდაგრა, როგორც ანთებითი ართრიტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა, მნიშვნელოვნად აუარესებს პაციენტთა ცხოვრების ხარისხს, შრომისუნარიანობას და ზრდის ჯანდაცვის სისტემის დანახარჯებს. ამ ფონზე, ჰიპერურიკემიის დროული იდენტიფიკაცია, რისკის შეფასება და მართვის ერთიანი სტანდარტის არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პირველადი ჯანდაცვის დონეზე.

საქართველოს საოჯახო მედიცინის ასოციაციის და ჰიპერტენზიის საზოგადოების თანამშრომლობით მომზადებული კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) — „ასიმპტომური ჰიპერურიკემიის და პოდაგრის მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში (პირველად ჯანდაცვაში)“ წარმოადგენს საფუძვლიანად დამუშავებულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დოკუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს პირველადი ჯანდაცვის დონეზე ასიმპტომური ჰიპერურიკემიისა და პოდაგრის მართვის თანამედროვე სტანდარტის ჩამოყალიბებას.

გაიდლაინი ეფუძნება უახლეს საერთაშორისო სამეცნიერო მტკიცებულებებსა და ავტორიტეტული პროფესიული ორგანიზაციების რეკომენდაციებს. გაიდლაინში მოცემულია საკითხის ეპიდემიოლოგიური, პათოფიზიოლოგიური და კლინიკური საფუძვლების სრულყოფილი ანალიზი, მათ შორის განხილულია ჰიპერურიკემიის კავშირი თირკმლის ქრონიკულ დაავადებასთან, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან, საერთო და კარდიოვასკულურ სიკვდილიანობასთან. გაიდლაინში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ჰიპერურიკემიისა და პოდაგრის დიაგნოსტიკური კრიტერიუმები, არაფარმაკოლოგიური და ფარმაკოლოგიური მართვის პრინციპები, მონიტორინგის სქემები, ოჯახის ექიმის კომპეტენციები და სპეციალისტთან რეფერალის კრიტერიუმები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რისკის სტრატიფიკაციასა და კარდიო-რენო-მეტაბოლური რისკის ინტეგრირებულ შეფასებას, რაც თანამედროვე მედიცინის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ გაიდლაინში ასიმპტომური ჰიპერურიკემია წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც პოდაგრის განვითარების წინაპირობა, არამედ როგორც მეტაბოლური და კარდიოვასკულური რისკის დამოუკიდებელი მარკერი, რომლის შეფასება და მართვა საშუალებას იძლევა დროული ჩარევით შემცირდეს გრძელვადიანი გართულებების რისკი. აუდიტის კრიტერიუმები და პრაქტიკაში გაიდლაინის ადაპტაციის რეკომენდაციები კიდევ უფრო ზრდის გაიდლაინის მნიშვნელობას პირველად ჯანდაცვაში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.

მთლიანობაში, წარმოდგენილი კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) პროექტი არის თანამედროვე, მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად რეალიზებადი დოკუმენტი, რომელიც სრულად შეესაბამება ეროვნული გაიდლაინების შემუშავების მოთხოვნებს. მისი დანერგვა ხელს შეუწყობს ჰიპერურიკემიის და პოდაგრის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სტანდარტიზაციას, პირველადი ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებას და ჰიპერურიკემიასთან და პოდაგრასთან ასოცირებული გართულებების შემცირებას.

შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის დამტკიცება წარმოდგენილი ფორმით.

ასოციაციის პრეზიდენტი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი /ელენე (დოდო) ქართველიშვილი/